

რო წამლის ფორმიდან მოქმედი ნივთიერების in vitro გამოთავისუფლება.

დადგენილია, რომ ოთხივე საკვლევი ობიექტი აკ-მაყოფილებს ფარმაკოპეის სტატიის მოთხოვნას ტესტზე „გახსნა“, იმდენად, რამდენადაც ოთხივე ნიმუშიდან 80%-ზე მეტი რაოდენობით ხდება კარ-ვედილოლის გამოთავისუფლება 30 ნუთის განმავ-ლობაში; შედარებულია საკვლევი ნიმუშების და რეფერენტული პრეპარატის ხსნადობის პროფილე-ბი და დადგენილია, რომ მხოლოდ ორი ნიმუში №2 და №4 ხსნადობის პროფილი შეესაბამება რეფერენტულს და, შესაბამისად, მხოლოდ ეს ორი ნიმუში არის რეფერენტული მედიკამენტის ექვივალენტური.

რაც შეეხება №3 და №5 ნიმუშებს — in vitro კვლე-ვის შედეგები არადამაკმაყოფილებელია და თერაპი-ული ექვივალენტობის დასადგენად მოითხოვს დამ-ატებით in vivo კვლევას.

#### ლიტერატურა:

1. Трифонов И.Р. Карведилол в большей степени, чем метопролол тартрат, улучшал выживаемость у больных с хронической недостаточностью кровообращения, однако вопрос о в-бло-каторе выбора для лечения таких больных остался открытым. Результаты исследования COMET // Кардиология. 2003. № 8. С. 79–81.

2. Гендлин Г.Е. Лечение хронической сердечной недостаточности блокаторами в-адренерги-ческих рецепторов // Сердечная недостаточность. 2005. № 6 (2). 94 с.

3. WHO Technical Report Series, No. 937, 2006, app. N7  
4. <http://www.fda.gov/cder/ogd/index.htm>

5. Joint Statement referentului preparatelor echivalentei între The International Pharmaceutical Federation (FIP) și the International Federation of Pharmaceutical Manufacturers Associations (IFPMA): Ensuring Quality and Safety of Medicinal Products to Protect the Patient. - Geneva: FIP, IFPMA, 2002.

6. HHS/FDA Guidance for industry: bioavailability and bioequivalence studies for orally administered drug products – general considerations. Rockville, MD, 388

7. Department of Health and Human Services, US Food and Drug Administration. 2003 (<http://www.fda.gov/cder/guidance/index.htm>).

8. USP 36 NF 31

Baramidze K., Megreli N., Namgaladze Sh., Chikviladze T., Jorjikia M.

#### THE STUDY OF IN VITRO RELEASE OF CARVEDILOLE FROM SOLID DOSAGE FORMS

"GLOBALTEST", LLC, TESTING LABORATORY; TSMU,  
DEPARTMENT OF PHARMACEUTICAL AND  
TOXICOLOGICAL CHEMISTRY

Examined the release of 4-s solid dosage forms of med-

icines carvediolo from different manufacturers, registered in Georgia.

It is established that all of the sample are compliant with monographs USP 36 NF 31 on test "dissolution", as from all samples are released more than 80% carvediolo for 30 minutes. But when comparing profiles dissolve has proved that only samples 2 and 4 are equivalent position. Regarding to samples under the number 3 and 5, the data in vitro studies are not satisfactory and thus require therapeutic equivalence (optional) in in vivo studies.

**ბაქრაძე ლ., კვერენჩილაძე რ., ციმაკურიძე მაია,**  
**კვერენჩილაძე გ., ნოზაძე ს.**

#### საქართველოს კიბიური მრავალობის გუბაკთა მროვის პიროგაბის პიგიური კლასიფიკაციის შემუშავების შედეგები

თსსუ, არავალიული გადიცენისა და გარემოს  
ჯავართელობის დაპარტაგანის გარემოს  
ჯავართელობისა და პროცესიული გადიცენის  
გიგართულება

**თემის აქტუალობა.** კონკრეტული საწარმოს შრომის პირობების შესნავლა მუშათა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავების საფუძველია [2,3], რაც არა მარტო სამედიცინო, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პრობლემაა [6].

შრომის მედიცინისა და ქვეყნის ეკონომიკის თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი დარგია ქიმიური მრეწველობა.

საწარმოო ქიმიური ფაქტორის მოქმედების შედეგები აღნერილია მრავალ ნაშრომში [7,8], თუმცა ქიმიური მრეწველობის დარგში დასაქმებულ პირთა შრომის პირობების ჰიგიენური შეფასება პროფესიულ ფაქტორთა შერწყმული მოქმედების პირობებში (შრომის ჰიგიენური კლასიფიკაცია) შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე არ ჩატარებულა, რის გარეშეც შეუძლებელია მიზანდასახულ გამაჯანსაღებულ ღონისძიებათა პრიორიტეტების განსაზღვრა, მთო უმეტეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები განაპირობებენ ამ დარგის ჰიგიენური შეფასებისადმი ახლებური მიდგომის აუცილებლობას, რადგან საწარმო-ტექნოლოგიური პროცესების მოდერნიზების შედეგად თვალსაჩინოდ, ზოგჯერ რაღიკალურად, იცვლება საწარმოების ტექნოლოგიური პროცესები, ხშირად – პროფილიც კი. ამიტომ მნიშვნელოვნად იცვლება ტრადიციულად ჩამოყალიბებული შრომის პირობებიც [5], რაც განაპირობებს ახალ და შეცვლილი საწარმოო პირობების ჰიგიენური შეფასების აუცილებლობას.

ამ მიმართულებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ნარმობების არახელსაყრელ საწარმო-პროფესიულ ფაქტორთა კომპლექსის რანჟირებას მათი ინტენსიურობის შესაბამისად. ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელია ჰიგიე-

ნური შეფასების საფუძველზე, შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტის გამოყენებით, რაც მომუშავეთა შრომის პირობების კომპლექსური შეფასების საშუალებას იძლევა მავნეობის, სიმძიმისა და დაძაბულობის მაჩვენებლების მიხედვით, ერთრიცხვიანი სიდიდით [3].

**შრომის მიზანი.** საქართველოს ქიმიური მრეწველობის წამყვანი მიმართულებების – დარიშხანისა და მისი პრეპარატების წარმოების, ნატრიუმის ციანიდის წარმოებისა და ამონიუმის გვარჯილის წარმოების მუშავთა შრომის პირობების კომპლექსური შესწავლის საფუძველზე ძირითადი პროფესიული მუშავთა შრომის პირობების ჰიგიენური კლასიფიკის შედეგენა შრომის მავნეობის, სიმძიმისა და დაძაბულობის მაჩვენებლების მიხედვით.

**კვლევის მეთოდები.** აღნიშნული სანარმოების ძირითადი პროფესიების მუშავთა შრომის პირობების შესწავლისა და მისი შედეგების ჰიგიენური დახასიათების საფუძველზე სანარმოო გარემოსა და შრომის პროცესის ფაქტორების ხარისხის შეფასება შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე [1].

**კვლევის შედეგები.** საქართველოს ქიმიური მრეწველობის წამყვან სანარმოებში ჩატარებული კომპლექსური კვლევების საფუძველზე დადგინდა შრომის პირობების ფორმირების ძირითადი კანონზომიერები, რაც მიზანმიმართული პროფილაქტიკური ლონისძიებების შემუშავების საფუძველია.

შესწავლილი სანარმოო ობიექტები მიეკუთვნება საშიშროების მომატებული კლასის სანარმოთა რიგს, რაც განპირობებულია როგორც ტექნოლოგიური პროცესების, ისე მთლიანად წარმოების სპეციფიკით. სანარმოო მოწყობილობისა და დანადგარების მუშაობის თავისებურებების გამოიქმნება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში პირობები:

- ♦ ინტორისიკაციის საშიშროება;
- ♦ ქიმიური და თერმული დამწვრობის საშიშროება;

#### ცერილი 1.

**დარიშხანის წარმოების ძირითადი პროცესიების მუშავთა შრომის პირობების მიზანის და ხასიათის კლასიფიკაცია**

პროცესიების დასახლება	შრომის მავნეობა	შრომის სიმძიმე	შრომის დაბატულობა
<b>I. დარიშხანის წარმოება</b>			
მედუმები	3.3	3.1	2
მეპარატე ქლორიდის მიღებაზე	3.2	2	2
მეპარატე ჟეტალური დარიშხანის მიღებაზე	3.2	3.1	2
მეპარატე ტექნიკური აურიანგმენტის მიღებაზე	3.2	3.1	2
მეპარატე სუფთა აურიანგმენტის მიღებაზე	3.2	2	2
მასის მომაზადებელი	3.3	3.1	2
დარიშხანის პრეპარატების დამფასონებელი	3.2	2	2
მეპარატე პალკოგენიდური მინის მიღებაზე	3.2	2	2
ლაბორატორი მონოკრისტალის მიღებაზე	3.1	1	3.1
<b>II. ამონიუმის გვარჯილის წარმოება</b>			
მეპარატე	3.2	2	3.2
შემფუთველი	3.2	3.2	3.2
ლაბორატორი	3.2	2	3.1
ზეინკალი	3.2	3.1	3.1
<b>III. ნატრიუმის ციანიდის წარმოება</b>			
მეპარატე	3.3	2	3.2
შემფუთველი	3.2	3.2	3.2
ლაბორატორი	3.1	2	3.1
ზეინკალი	3.2	3.1	3.1

♦ მექანიკური ტრავმისა და ელექტრული დაზიანების საშიშროება.

ქიმიური მრეწველობის სანარმოების ტექნოლოგიური მეპარატების შესრულებისას სანარმოო აღჭურვილობის ექსპლიოტაციის პროცესში წარმოქმნილი და სხვა საშიშროებების თავიდან აცილებისათვის წარმოების ტექნოლოგიური რეგლამენტით გათვალისწინებულია მთელი რიგი პირობების შესრულება, რაც მომუშავეთა ორგანიზმზე არასასურველი მოქმედების მინიმალურ დონეზე შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

შესწავლილ წარმოებებში შრომის პირობების შეფასების საფუძველზე დადგინდა შრომის პირობების კლასები ცალკეული პროფესიების მიხედვით (ცხრილი 1). აღსანიშნავია, რომ შრომის საშიში პირობები (4 კლასი) არცერთ პროფესიაში არ დადგენილა.

**დარიშხანის წარმოების სანარმოო პარტნერების მავნე ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების მაჩვენებლების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ შრომის ჰიგიენური კლასიფიკაციის მიხედვით დარიშხანის წარმოების მუშავთა შრომის პირობები შესაბამება მავნეობის III კლასის I-II-III ხარისხებს (3.1, 3.2 და 3.3 კლასები).**

დარიშხანის წარმოების წამყვანი არახელსაყრელი ფაქტორი ზოგან კომბინაციაშია ფიზიკურ ფაქტორებთან – ხმაურთან და არახელსაყრელ მიკროკლიმატთან, რაც ფასდება მავნეობის 3.1 და 3.2 კლასებით.

დარიშხანის წარმოების ცალკეულ სამუშაო ადგილებზე გამოყენებული აგრეგატების (ვაკუუმ-კომპრესორი, სატაბლეტე მანქანა, წნევ-მანქანა) ექსპლოატაციის შედეგად გენერირებული მექანიკური ხმაურის მონაცემების ანალიზით გამოვლინდა, რომ ხმაურის დონე და ინტენსიურობა დასაშვები ფარგლებიდან გამოდის მხოლოდ მასის მომმზადებლის

სამუშაო ადგილზე და ისიც უმნიშვნელოდ (2 დბ-ით), რის გამოც ამ კრიტერიუმით მასის მომამზადებლის შრომის პირობებიშე სატყვისება აღნიშნული კლას-იფიკაციის III კლასის (მავნეს) | ხარისხს, ხოლო ყველა დანარჩენი პროფესია – 1 კლასს (ოპტიმალურს).

სითბური გამოსხივება მოქმედებს მხოლოდ 2 პროფესიის – მეღუმელისა და მეტალური დარიშხანის საამქროს მეპარატის ორგანიზმზე. მათი ჯამური ინფრანითელი დასხივების ინტენსიურობა ცვლის განმავლობაში, შესაბამისად, 2,8-ჯერ და 1,4-ჯერ აღემატება დასაშვებ დონეს. აქედან გამომდინარე, სითბური გამოსხივების ინტენსივობის მიხედვით მეღუმელისა და მეტალური დარიშხანის მიღების მეპარატის პროფესიები მიეკუთვნება მავნეობის III (მავნე) და II (დასაშვებ) კლასებს, ხოლო ყველა დანარჩენი პროფესია – I კლასს.

ამგვარად, დარიშხანის წარმოების შრომის პირობების თავისებურებათა შესწავლამ საშუალება მოგვცა მოგვეხდინა ძირითადი პროფესიების მუშაკთა შრომის პირობების მავნეობის კლასიფირება ზოგიერთი კრიტერიუმის მიხედვით, რაც, როგორც აღინიშნა, შესაბამება უპირატესად III კლასის I-II-III ხარისხებს.

**ამონიუმის გვარჯილის** წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული ნედლეულისა (აზოტმჟავას) და მიღებული პროდუქტის შესაბამისად, საწარმოო სათავსების ჰერში გამოვლინდა ამიაკის, ნატრიუმის ოქსიდებისა და ამონიუმის გვარჯილის, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესის წარმართვისათვის გამოყენებული საწვავის წვის პროდუქტების (ნახშირბადისა და გოგირდის დიოქსიდების) შემცველობა სხვადასხვა კონცენტრაციით. ამ მაჩვენებლის მიხედვით შრომის პირობები ყველა პროფესიაში ფასდება მავნეობის 3.1 კლასით.

წარმოების მთელ რიგ სამუშაო ადგილებზე საწარმოო გარემოს ჰერო ხასიათდება არახელსაყრელი მდგომარეობით მასში ტოქსიკური ნაერთების მომატებული რაოდენობის გამო. ტექნოლოგიური პროცესის დახურული სქემით მიმდინარეობის მიუხედავად, საწარმოო გარემოს ჰერში ტოქსიკური ნაერთების გამოყოფა გარკვეულილად განპირობებულია საწარმოო აგრეგატების არასულყოფილი ჰერმეტულობით, გამწოვი ვენტილაციის არასაკმარისი ეფექტურობით და სხვა საწარმოო და არასაწარმოო გარემოებებით.

მიუხედავად იმისა, რომ **ნატრიუმის ციანიდის** წარმოება წარმოადგენს ქიმიური მრეწველობის ობიექტს და ტექნოლოგიურ პროცესში გამოიყენება მაღალატოქსიკური ქიმიური ნაერთები, ჰიგიენური შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში, წარმოების შრომის პირობების განმსაზღვრელი ფაქტორია ხმაური, რომლის დონე მეპარატის სამუშაო ადგილზე შეფასდება, როგორც მავნეობის 3.3 კლასი. შემფუთველისა და ზეინკლის შრომის პირობები ამ მაჩვენებლის მიხედვით ფასდება, როგორც მავნეობის 3.2 კლასი. მხოლოდ ლაბორანტის სამუშაო ადგილზე მისი დონე დასაშვები (2 კლასი) სიდიდის ფარგლებში.

სამუშაო ზონის ჰერში მავნე ნივთიერებების შემ-

ცველობის მიხედვით, ლაბორანტის გარდა, ყველა პროფესიის მუშაკთა შრომის პირობები ფასდება, როგორც მავნეობის 3.1 კლასი. ამავე კლასით ფასდება ჰერშის ტემპერატურა ყველა პროფესიის მუშათა სამუშაო ადგილზე. ხოლო განათება ფასდება, როგორც დასაშვები (2 კლასი).

შემფუთველის შრომის პროცესის სიმძიმის მაღიმიტირებელი ფაქტორებია ფიზიკური დინამიკური დატვირთვის სამივე შესწავლილი მაჩვენებელი, რის საფუძველზეც მისი შრომითი პროცესი შეფასდება, როგორც მავნე (მძიმე შრომა) — 3.2 კლასი.

ლაბორანტის შრომის პროცესის ფაქტორები იპტიმადური და დასაშვები მნიშვნელობების ფარგლებშია. საბოლოოდ ის შეფასდა, როგორც დასაშვები (2 კლასი).

ზეინკლის შრომის პროცესის მაღიმიტირებელი ფაქტორია სამუშაო პოზა და ამ მაჩვენებლით მისი საბოლოო შეფასება შესატყვისება მავნე (მძიმე) შრომას — 3.1 კლასი.

მეპარატის შრომის დაძაბულობის განსაზღვრელია დატვირთვის მონოტონულურობა (მარტივი დავალების შესრულების ხანგრძლივობის მიხედვით), რის საფუძველზეც მისი შრომის პირობები შეფასდება, როგორც მავნე (დაძაბული) შრომა — 3.2 კლასი. ამავე კლასს მიეკუთვნება შემფუთველის შრომა, რომელსაც 8 მაჩვენებლის მიხედვით აღნიშნება | ხარისხის დაძაბული შრომა — 3.1 კლასი.

ლაბორანტის 6 მაჩვენებლის მიხედვით დაუდგინდა 3.1 კლასის სამუშაოს დაძაბულობა. საბოლოო შეფასებაც ამავე კლასით განისაზღვრა.

ზეინკლის შრომა 4 მაჩვენებლის მიხედვით შეფასდა, როგორც 3.1 კლასი. ამავე კლასს მიეკუთვნება მისი შრომის დაძაბულობის საბოლოო შეფასება.

შესწავლილი საწარმოების შრომის პირობების ჰიგიენური კლასიფიკაცია შრომის პირობების კომპლექსური შეფასების და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველს იძლევა.

ჩატარებული კომპლექსური კვლევები საფუძვლად დაედო ქიმიური მრეწველობის შესწავლილი ობიექტების მუშათა შრომის პირობების გაჯანსაღებების ღონისძიებების შემუშავებას. მიწოდებული წინადადებები მოიცავს პროფილაქტიკის ყველა მიმართულებას. კერძოდ, შემუშავებულია ტექნოლოგიური და საწილავის ტექნიკური, საწილავის ტექნიკულ-ჰიგიენური, სამედიცინო-ბიოლოგიური პროფილაქტიკიური ღონისძიებები.

შრომის პირობების კომპლექსური გამაჯანსაღებელი ღონისძიებების რეალიზაცია შესწავლილი წარმოების შეუფერხებელი ფუნქციონირების, საწარმოო გარემოს გაუმჯობესებისა და, აქედან გამომდინარე, მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველს წარმოადგენს.

## ლიტერატურა:

1. შრომის პირობების ჰიგიენური კლასიფიკაცია საწარმოო გარემოს ფაქტორებისა და სამუშაოს

მავნეობისა და საშიშროების მიხედვით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №147/6, 3.05.07.// საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ნანილი III. №69, 2007.

2. Измеров Н.Ф. Значение гигиенического нормирования факторов окружающей среды в обеспечении здоровья населения страны.// Медицина труда и промышленная экология. 1999. - №8. – С. 1-6.

3. Красовский В.О., Аминова Г.Г. К методике формирования однозначных оценок показателей факторов производственной среды в гигиене труда. //Медицина труда и промышленная экология. 2004. №1. – С. 22-27.

4. Новикова Т.А., Спирин В.Ф., Сморнов И.В и др. Аттестация рабочих мест по условиям труда и ее роль в системе управления профессиональным риском здоровью работников сельского хозяйства.//Медицина труда и промышленная экология. 2003. - №11. – С. 18-21.

5. Сергеева С.В., Волохова И.П., Толчинская И.С. Опыт работы центра Госсанэпиднадзора в Саратовской области по гигиене труда работников сельского хозяйства.//Медицина труда и промышленная экология. - 2003. - №11. – С. 4-7.

6. Якимова Л.Д. Состояние и социально-экономические проблемы охраны труда. //Бюллетень Научного Совета ‘Медико-экологические проблемы работающих’.–2003. №1.- С. 29-33.

7. Bardana E.J., Montaro A.O., Hollaren M.T.//Occupational asthma. – USA, UK, Canada, 2005. – P. 267-282.

8. Ichinose M., Miura M., Takahashi T.//Clinic. Pharmacology. (Suppl.). – 2006. – P. 36-39.

**Bakradze L., Kverenchkhiladze R., Tsimakuridze Maia, Kverenchkhiladze G., Nozadze S.**

### **THE RESULTS OF DEVELOPMENT OF HYGIENIC CLASSIFICATION OF WORKING CONDITIONS OF CHEMICAL INDUSTRY OF GEORGIA**

**TSMU, DEPARTMENT OF PREVENTIVE MEDICINE AND ENVIRONMENTAL HEALTH, DIRECTION OF ENVIRONMENTAL HEALTH AND OCCUPATIONAL MEDICINE**

Complex researches for hygienic classification of work of the main professional groups of priority branches of the chemical industry (arsenic and its preparations producing, cyanic sodium producing and nitrate fertilizer producing) of Georgia in the conditions of the combined action of professional factors on the basis of the relevant normative document are conducted.

It is established that work of the majority of the main professional groups of these enterprises belongs on harm - to 3.1 and 3.2 classes, on difficulty- to 3.2 and 2 classes and on intensity - to 2, 3.1 and 3.2 classes.

The conducted complex researches formed the basis for

development of actions for improvement of working conditions of employees of the studied enterprises of the chemical industry of Georgia.

**საგენერალური გაფურმირება**

**ბეგოშვილი ნ., გაბუნია დ., ჯიბლაძე გ.**

### **პეტიური და პასიური მცეველობის გავრცელება თბილისის სახელმწიფო საედუციო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის**

**თსსუ, გილაგანი გედიცინის დეარტამენტი №2,  
ზონაგან სეულებათა მიმართულება**

ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება (ფქოდ) სიკვდილობის მიზეზთა შორის მსოფლიოში მე-4 ადგილს იკავებს (2,6). ფქოდ-ის განმარტებაში ხაზგასმულია, რომ ამ დაავადების პრევენცია შესაძლებელია და იგი ექვემდებარება მკურნალობას (2,6). პრევენციაში იგულისხმება თამბაქოს მოხმარების შენვეტა, როგორც ყველაზე მთავარი (90%) და აგრძესიული რისკის ფაქტორის. განვითარებულ ქვეყნებში თამბაქოს მოწვევასთან ბრძოლამ მნიშვნელოვნად შეამცირა მწეველთა რაოდენობა, თუმცა მოზარდებში და ქალებში ეს ტენდენცია ნაკლებადაა გამოხატული, ზოგიერთ ქვეყანაში კი აღინიშნება მათი რიცხვის მატება, განსაკუთრებით ქალებში (1,2,6,8).

საქართველოში, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, სადღეისოდ თამბაქოს ენცვა მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით 30%. მწეველთა რაოდენობა იზრდება, რაც ძირითადად ქალების და მოზარდების ხარჯზე ხდება. სკოლის მოსწავლეების 16% რეგულარული მწეველია, ხოლო პასიური მწეველების რაოდენობა ძალიან დიდია (1).

როგორც წესი, ფქოდ ხანგრძლივი (> 15-20 წლის) მოწვის შემდეგ ვითარდება და ვლინდება 40-45 წლის ასაკიდან. ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ფქოდ ახალგაზრდა ასაკშიც შეიძლება განვითარდეს (2,6,7). არის მონაცემები, რომ ფქოდ-ის განვითარებას ადგილი ჰქონდა ახალგაზრდა მწეველებში თამბაქოს ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მოხმარებისას (<5 წ.) (5). ჩვენს დეპარტამენტში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ახალგაზრდა ასაკის მწეველების ნაწილში (მათ შორის თსსუ-ის მე-4, მე-5 კურსელებიც იყვნენ) გამოავლინა სასუნთქი სისტემის ფუნქციური მდგომარეობის რიგი მაჩვენებლების სარწმუნო გაუარესება არამწეველების საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. მოწვის შეწყვეტის 6-12 თვის შემდეგ განმეორებითმა კვლევებმა გვაჩვენა მონაცემების გაუმჯობესება, რაც ამ ასაკში დაწყებული პროცესის უკუგანვითარების შესაძლებლობაზე მიუთითებს (10). ავტორთა ჯგუფი ახალგაზრდა მწეველებში ჩატარებულ კვლევებს არასაკმარისად მიიჩნევს და საჭიროდ თვლის მათ გაგრძელებას (7).

რაც შეეხება პასიურ მწეველებს, მათაც შეიძლება ჰქონდეთ რესპირაციული სიმპტომები, განუვი-